# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 კაპ.

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 100 კვირა, 24 ნოემბერი, 1918 წ. № 100



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეფროსინე, ცოლი ნადია, ძმები ლადო, ილია ❀ კოწია, დები ოლინკა, ნინა და ლუბა, სიძე სამსონ ლეჟავა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველის ძვირფასი შვილის, მეორეს ქმრისა და უკანასკნელთა ძმისა

**ივანე სიმონის-ძე წიწივაძის.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე. ელისაბედის ქუჩა № 52 ბინა 1. დასაფლავება 26 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში, დილის 10 საათზე.

2—1—1070

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

კვირას, 24 ნოემბერს

დილით—შვამბერგის, მოლჩანოვის და ნიკოლსკის მონაწილეობით

**ფაუსტი და ვალპურგიის ღამე**

დასაწყისი დღის 12 საათზე. საღამოს მ. ი. ალეშკოს, კანშინის და ორდას მონაწილეობით-

**I. ტოსკა. II კორნილი უკრაინაში**

ფასები საგრძნობლად დაკლებულია, დასაწყისი საღამოს 7-ნახევარ საათზე. სამშაბათს, ნოემბრის 26-ს ტ. საბანეევას, ბ. ზალიპსკის, ფ. პალიაევის, ვ. ნიკოლსკის მონაწილეობით „სევილელი დალაქი“. ხუთშაბათს, ნოემბრის 28 ალეშკოს მონაწილეობით „ჟიდოვკა“.

1040 1—1 ოპერის წარმომადგენელი ს, ევლახოვი.

**პირველ დეკემბრიდან სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილება, სამხედრო მინისტრის განკარგულებით, გამოსცემს ყოველ-კვირეულ სამხედრო ოფიციალ ჟურნალს, სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებულს**

## „რესპუბლიკის ჯარს“.

ჟურნალს ექნება ორი განყოფილება: ოფიციალი, სადაც დაიბეჭდება ბრძანებები სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ ჯარების მიმართ და წესდებები, და არა ოფიციალი, სადაც დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, ფელეტონები მეცნიერების ყოველივე დარგიდან, პრესის მიმოხილვა კვირიდან კვირამდე და ქრონიკა. ჟურნალი სურათებიანი იქნება და ეღირება ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ. ხელის მომწერთ ჟურნალი დაეთმობა: ერთი წლით 52 მანეთად, ნახევარი წლით 26 მანეთად და სამი თვით 13 მანეთად. ხელის მომწერლებმა ფული უნდა გაუგზავნონ ჟურნალის რედაქციის მოლარეს, კაპიტან გიორგაძეს. რედაქცია ღიაა ყოველ დღე 10—3 საათამდე. რედაქცია მოთავსებულია სამხედრო სამინისტროში, ბარიატინსკის ქუჩა, ტელეფონი 5—13.

1069 2—2

## სენაკის სამაზრო გამგეობა

**იწვევს ორ ექიმს აბაშაში და ნოღალევში**

ამუშაოთ. პირობები: ჯამაგირი თვეში 1000 მან., ბინა და სამგზავრო ხარჯები. მსურველთ სთხოვთ განცხადებანი გამოგზავნონ სამაზრო საერობო გამგეობის სახელზე ქ. ახალ-სენაკში, curiculum vitae-ს და წინანდელი სამსახურის რეფერენციების დამატებით.

1054 7—2 სენაკის სამაზრო გამგეობა,

**მედიცინის დოქტორი**

ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მებრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—8.

## ექიმი ი. კ. აბაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

მოქალაქენო! დაუმტკიცოთ ურწმუნოებს, რომ რაკი საჭიროება მოითხოვს

## საქართველო შესძლებს

მისი უნივერსიტეტის და თეატრისათვის ხუთი მილიონი შეაგროვოს.

**სულ ყველაფერში ნუ დააწვებით ხაზინას!**

მაშ გავეშურნეთ და ყველამ, დიდმა და პატარამ, საცა კი გამოცხადებულია, შევიძინოთ ქართული ლატარიის ბილეთები. თუ ჩვენებურათ, ერთსულოვნად მოვინდომებთ წრეულს შობამდე შევძლებთ ამ თანხის მოგროვებას.

412 3—2

## ოფიციალური განყოფილება

## კანონი

**სახელმწიფოს ქაღალდების მბეჭდავი ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვისა.**

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან შემოღებული იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობამრეწველობის სამინისტროსთან დაწესებულის სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავი ექსპედიციის შტატი.

2. გადაიდოს სახელმწიფოს თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატისათვის რვაას ოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდა ხუთმეტი (827.295) მან. შემდეგის განაწილებით: 1) მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის—400.295 მან., 2) ნორმაზე გადამეტებულ შრომისათვის—126.000 მან., 3) ელექტრონის ენერგიისათვის—7.000 მან., 4) ქაღალდი, საღებავი და ლითოგრაფიის მასალისათვის—6.000 მან., 5) გათბობისათვის—3.000 მან., 6) რემონტი მანქანების, ინვენტარის და შენობის—7.000 მან., 7) საკანცელარიო და მოულოდნელი ხარჯისათვის—7.000 მან., 8) ექსპედიციის შეკვეთილ საქმისათვის კერძო ხელოსანთა გასამრჯელო—40.000 მან., 9) პრაქტიკანტების მოსაწვევათ—7.000 მან., 10) ფოლადის კასის და სხვა ინვენტარის შეძენა—20.000 მან., 11) სასურსათო სამინისტროს ვალი—150.000 მან.

1918 წ. ნოემბრის 12.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## შტატი

სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციისა.

| №№ რიგზე. | თანამდებობა. | რიცხვი. | წლიური ჯამაგირი თითოეულს. | წლიური ჯამაგირი ყველას. | ყველას ივნისის 1-ს წლამდე დამატებით. |
|---|---|---|---|---|---|
| | I. | | | | |
| 1 | გამგე ექსპედიციისა | 1 | 12000 | 12000 | 7000 |
| 2 | თანაშემწე უფროსი | 1 | 11400 | 11400 | 6650 |
| 3 | „ უმცროსი | 2 | 9600 | 19200 | 11200 |
| 4 | ბუხჰალტერი | 1 | 9600 | 9600 | 5600 |
| 5 | თანაშემწე | 1 | 7200 | 7200 | 4200 |
| | II. | | | | |
| | საკონტროლო კომისია. | | | | |
| 6 | უფროსი ზედამხედველი | 1 | 9000 | 9000 | 5250 |
| 7 | ზედამხედველი | 21 | 8400 | 176400 | 102900 |
| | III. | | | | |
| | სამხატვრო ნაწილი. | | | | |
| 8 | გრავერი 1-ლი | 1 | 14400 | 14400 | 8400 |
| 9 | „ მე-2-რე | 1 | 8736 | 8736 | 5096 |
| | დაჭრა და დათვლა ქაღალდებისა. | | | | |
| 10 | გამნაწილებელი | 1 | 8064 | 8064 | 4704 |
| 11 | დამჭრელი | 1 | 8064 | 8064 | 4704 |
| 12 | მისი თანაშემწე | 1 | 5352 | 5352 | 3122 |
| 13 | დამთვლელი ფურცლებისა | 4 | 4800 | 19200 | 11200 |
| 14 | დამთვლელი სახელმწიფოს ბანკიდან | 4 | 1800 | 7200 | 4200 |
| 15 | კასირი სახელმწიფოს ბანკიდან | 1 | 1200 | 1200 | 700 |
| | ლითოგრაფია. | | | | |
| 16 | ლითოგრაფიის გამგე | 1 | 10800 | 10800 | 6300 |
| 17 | მისი თანაშემწე | 1 | 9600 | 9600 | 5600 |
| 18 | უფროსი ხელოსანი | 1 | 10080 | 10080 | 5880 |
| 19 | დაზგაზე მბეჭდავი | 3 | 8064 | 24192 | 14112 |
| 20 | ხელქვეითი | 4 | 5376 | 21504 | 13544 |
| 21 | გრავერი I კათეგორიისა | 2 | 8736 | 17472 | 10192 |
| 22 | „ II „ | 1 | 8400 | 8400 | 4900 |
| 23 | „ III „ | 1 | 6384 | 6384 | 3724 |
| | მანქანით მბეჭდავი. | | | | |
| 24 | I კათეგორიის | 4 | 8064 | 32256 | 18816 |
| 25 | II „ | 1 | 7728 | 7728 | 4508 |
| 26 | III „ | 1 | 7392 | 7392 | 431 |

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27 | დამწყობი I კათეგორიის | 5 | 5376 | 26880 | 15680 |
| 28 | „ II „ | 1 | 5040 | 5040 | 2940 |
| 29 | გამჩარხველი | 2 | 5712 | 11424 | 6664 |
| 30 | სამხატვრო წამლების მლესავი | 1 | 5376 | 5376 | 3136 |
| 31 | ქაღალდების მოანგარიშე | 1 | 6048 | 6048 | 3528 |
| 32 | მოლარე მესაკუჭნავე | 1 | 7200 | 7200 | 4200 |
| 33 | მისი თანაშემწე | 4 | 6000 | 24000 | 14000 |
| 34 | მეტაბულე | 1 | 5400 | 5400 | 3150 |
| 35 | მუშა | 10 | 5040 | 50400 | 29400 |
| 36 | მომუშავე I კათეგორიის | 1 | 4140 | 4140 | 2415 |
| 37 | „ II „ | 5 | 3780 | 18900 | 11025 |
| 38 | „ III „ | 1 | 3420 | 3420 | 1995 |
| 39 | კასირი | 1 | 9000 | 9000 | 5250 |
| 40 | მისი თანაშემწე | 1 | 7200 | 7200 | 4200 |
| 41 | მსახური | 2 | 5124 | 10248 | 5978 |
| 42 | მეკარე | 2 | 5040 | 10080 | 5880 |
| | **დარაჯები.** | | | | |
| 43 | აფიცერი | 1 | 2160 | 2160 | 1260 |
| 44 | ჯარისკაცი | 12 | 540 | 6480 | 3780 |
| | | — | — | 686220 | 400295 |

# დამატება.

| | |
|---|---|
| 1) ნორმაზე გადამეტებული შრომისათვის | 126.000 |
| 2) ელექტრონის ენერგიისათვის | 7.000 |
| 3) საღებავი, ქაღალდი და ლიტოგრაფიის მასალა | 60.000 |
| 4) გათბობა | 3.000 |
| 5) რემონტი მანქანებისა, ინვენტარისა და შენობის | 7.000 |
| 6) საკანცელარიო და მოულოდნელი ხარჯი | 7.000 |
| 7) ექსპედიციის შეკვეთილ საქმისთვის კერძო ხელოსანთა გასამრჯელო | 40.000 |
| 8) პრაქტიკანტების მოსაწვევად | 7.000 |
| 9) ფოლადის კასის და სხვა ინვენტარის შეძენა | 20.000 |
| 10) სასურსათო სამინისტროს ვალი | 150.000 |
| | 427.000 |
| სულ. . | 827.295 |

1918 წ. ნოემბრის 12.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# ბრძანება

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა**

22 ნოემბერი, 1918 წ.

№ 47.

ვინაიდან ყაჩაღობამ თელავის მაზრაში თავის თავხედობით და გავრცელებით მიიღო ისეთი საშიში ხასიათი, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იქმნა მიღება არა ჩვეულებრივი ზომებისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს მთელ თელავის მაზრას სამხედრო წესებზე.

დროებით გენერალ-გუბერნატორად თელავის მაზრისა დაინიშნოს გუბერნიის კომისარი მაღლაკელიძე, რომელსაც დაექვემდებარება ყველა სამხედრო და საადმინისტრაციო ძალები ყაჩაღობასთან ბრძოლაში.

დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში.

**სამხედრო წესები.**

ა) მთელი თელავის მაზრა გამოცხადებულ იქმნას სამხედრო წესებზე.

ბ) დროებით გენერალ-გუბერნატორათ თელავის მაზრისა დაინიშნოს გუბერნიის კომისარი მაღლაკელიძე.

გ) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".

**სასამართლოები.**

ა) ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს იოსებ სიდავას წევრებს, მაჭავარიანს, ნიკურაძეს და ბრალმდებელს ამხანაგ ბიქტორ მათვეევს დაევალოს დროებით: პირველს ქუთაისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეობა, მეორეს ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგობა, მესამესა და მეოთხეს—წევრების და მეხუთეს ბრალმდებლის მოვალეობის ასრულება მათი ოლქის სასამართლოში თავიანთ თანამდებობაზე დატოვებით.

ბ) დაინიშნა იმავე საგანგებო სასამართლოს წევრებათ იაკობ სფირიდონის ძე ფანცხავა და შალვა იოსების ძე სანიბლიძე და ბრალმდებლის ამხანაგათ გაბუნია.

გ) იმავე სასამართლოს წევრებათ დაინიშნონ კიდევ: სამტრედიის ყოფილი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე მიტროფანე ჯანელიძე და წევრები ევგენი ძიძიგური და ბესარიონ ფარცხვანია, ბრალმდებლის მეორე ამხანაგათ კი ყოფილი ტრიბუნალის ბრალმდებელი პავლე წულაია, ამ უკანასკნელთ სხვათა შორის, დაევალებათ ქუთაისის საგანგებო სასამართლოს სესიის სახით გაარჩიონ სამტრედიის რაიონის საქმეები.

დე გაეხსნას იუსტიციის მინისტრს 10 მილ. ფონდიდან ხარჯთ აღრიცხვის ანგარიში ქუთ. საგუბ. სასამართლოს 1918 წ. ბოლომდე შესანახათ საჭირო კრედიტები.

**დროებითი განკარგულება.**

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გორის მაზრასთან მოსაზღვრე ადგილებში საქმის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო დადასტურებულ იქმნას დროებითი გენ. გუბერნატორის მაყაშვილის განკარგულება აწყურისა და ბარალეთის უბნების 5 ნოემბრის სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ ამავე წესებით ახალციხისა და ახალქალაქის დანარჩენ ნაწილებზედაც, სადაც კი ჩვენი ჯარები შევლენ.

# გენერალ ტომსონის დეპეშა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა გენ. ფონ-კრესს და გერმანელ ჯარების ჯარისკაცთა საბჭოს ტფილისში, რომ სამინისტროს მიერ მიღებულ დეპეშის თანახმად ინგლისის ჯარების მთავარსარდლის გენერალ ტომსონისაგან ბაქოდან საქართველოში მყოფ გერმანელ ჯარებს შეუძლიანთ დარჩენა ალაგობრივ ვიდრე გენ. ტომსონისაგან არ იქნება გამოქვეყნებული ნამდვილი ტექსტი ზავის პირობებისა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**თელავის ამბები**

თელავის მაზრის ახლად დანიშნულ გენერალ-გუბერნატორმა მაღლაკელიძემ შემდეგი დეპეშები გამოუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს:

„თელავიდან 8 ვერსის მანძილზე მოსახლე ყარაჯალის მაჰმადიანთა სოფელს 22 ნოემბერს იარაღი ავყარეთ. ბოროტ-მომქმედნი გადმოგვცეს".

„21 ნოემბერს ს. კურდღელაურში მოვკალით 4 ყაჩაღი. ამ სოფლის მცხოვრებნი გვაბარებენ იარაღს შემოაქვთ გადასახადი.

„18 ნოემბერს ჩამოველით თელავში პოლკ. კახიძეს რაზმთან და კომისარ გომართელთან ერთათ. ქალაქს ალყა შემოვარტყით. 19 ნოემბერს შევიპყარით 3 დიდი ბოროტმომქმედთაგანი და 6 მათი ამხანაგი. თელავის სამაზრო ადმინისტრაციამ დიდი დახმარება აღმოგვიჩინა. იარაღის აყრა გრძელდება. როგორც ქალაქის, ისე სოფლის მცხოვრებნი იარაღ ასხმულნი ყოფილან. ოფიცრები და ჯარის კაცნი საგუბერნიო ბათალიონისა საუცხოვოთ ასრულებენ თავის მოვალეობას".

„20 ნოემბერს შუადღისას სოფ. კურდღელაურში სროლის დროს მოკლულ იქმნა ყაჩაღთა ბრბოს მეთაური ჰუაძე, მეტ სახელათ „ბრუციანი".

**ლტოლვილნი.**

ქალაქის გამგეობის ლტოლვილთა ნაწილმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ თანახმად სამხედრო მინისტრის განკარგულებისა, ყაზარმები ტფილისის პოლკისა კახეთის მოედანზე ლტოლვილთაგან განთავისუფლებულ იქმნა. ლტოლვილნი გადასახლებულ იქმნენ ახალ ბინაზე, არსენალის ქ. № 5, რომელიც საჭიროებს შეკეთებას. ლტოლვილთა ნაწილი სთხოვს მინისტრს შესაკეთებლათ ამ შენობისა 3000 მანეთის დახმარების აღმოჩენას.

**დაზარალებულთა თხოვნები.**

სამინისტროს დირექტორმა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ამ ბოლო დროს აუარებელი თხოვნები შემოდის კერძო პირთა და დაწესებულებათაგან ქონების განადგურების შესახებ სხვა და სხვა რაიონში, არეულობის და ბოლშევიკურ გამოსვლის გამო. პატრონები ამ ქონებისა სთხოვენ დახმარებას. ამ საკითხის პრინციპიალურ მნიშვნელობის გამო, რომელიც მთავრობის გადასაწყვეტ საკითხად უნდა ჩაითვალოს სამინისტროს დირექტორი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში.

**დასჯა ტყის გაჩეხისათვის.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ბორჯომის რაიონის მცხოვრებნი ვანო ჩაჩანიძე, ვანო და სანდრო ბლიაძე, სოსო ნანაძე, ლევან გოგოლაძე, გორა გელაშვილი, კოტე სალაყაია, ნიკო და პეტრე გელაშვილი, სინო ხაჩიძე, მიხა ყურმაშვილი, სოლო გოგოლაძე, ლადო ვეფხიაშვილი, ივანე გოგიჩაიშვილი, დავით და მაქსიმ სალარიძე, სახელმწიფო ტყის თვის ნებით გაჩეხისთვის დაპატიმრებულ იქმნენ ტფილისის საგუბერნიო ციხეში და ეცნობოს მათი საქმე მიწათ-მოქმედების მინისტრს საქმის შემდეგ მიმართულების მისაცემათ.

# საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**უკრაინის საელჩოს თხოვნა**

უკრაინის საელჩომ შუამდგომლობა აღძრა საგარეო სამინისტროს წინაშე, რომ საქართველოს საზღვრებით ფოთისკენ მიმავალ უკრაინის ქვეშევრდომთ „ტრანზიტებით" გასვლის ნება მიეცეთ. საგარეო სამინისტრომ ეს შუამდგომლობა გაუგზავნა დასასკვნელად შინაგან საქმეთა სამინისტროს.

# გზათა სამინისტროში.

**საავადმყოფოს გახსნა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო სასანიტარო განყოფილებამ აცნობა გზათა სამინისტროს, რომ ვინაიდან სადგურ სანაინზე მდგომი საექიმო მეთვალყურე რაზმი ბინის უქონლობის გამო იძულებული იყო დაეკავებია რკინის გზის ერთ-ერთ სადგომთაგანი და დღესაც არ არის საშუალება, რომ ის ბინა თანახმათ გზათა უფროსის ცნობისა შინაგან სამინისტროს სახელზე განთავისუფლებულ იქნება ამავე მიზეზების გამო, რომ, თუ კი რკინის გზის მმართველობა იკისრებს თავისი საექიმო განყოფილების საშუალებით შეასრულოს საექიმო მეთვალყურეობის მოვალეობა სანაინის რაიონში, მაშინ ახლა სანაინში მდგომი საექიმო რაზმი გადაყვანილ იქნება ვარანცოვკაში ან სადახლოში საეროზო ექიმობის საჭიროებისათვის. ამით ხსენებული ბინაც იქნება განთავისუფლებული და ბორჩალოს მაზრაშიაც ამ თავითვე ერთი საავადმყოფოც იქნება გახსნილი, რაც მეტად საჭიროა ახლანდელ პირობებისა და მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების შემოსავლის ნაწილმა აცნობა გზათა სამინისტროს, რომ ვინაიდან პეტროგრადთან დამოკიდებულება შეწყვეტილია და რადგან პეტროგრადის ბანკთა შეთანხმება აღარა გვაქვს, რომლისაგანაც ანგარიშებს ვასწორებდით რუსეთის რკინის გზებთან, საქართველოს რკინის გზები ამ ჟამათ არ იღებენ ამ გზებიდან არავითარ თანხებს, რომელიც მას ერგება ანგარიშებით. ამისათვის საჭიროა ეხლავ დავაწესოთ ახალი წესრიგი ფულის გაცემისა და მიღებისა ამ გზებთან ანგარიშებით, კახეთის რკინის გზასთან მაინც, რომელთანაც განსაკუთრებულ ხელშეკრულობით სწარმოებს და უწინ სწარმოებდა პეტროგრადის სახელმწიფო ბანკის კანტორის საშუალებით.

# მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**სატყეო კურსები.**

პროფ. ქურდიანის ინიციატორობით დაარსდა სატყეო კურსები 3 თვიან ვადით. კურსები 1 ოქტომბერს გაიხსნა. კურსისტები პროფ. ქურდიანის ხელმძღვანელობით აწარმოებდენ პრაქტიკულ მუშაობას ბორჯომში, საიდანაც ისინი ამ დღეებში დაბრუნდნენ. დეკემბრის შუა რიცხვებში კურსისტები დაასრულებენ კურსებს ასე რომ 30—40 კაცამდე ახალი ძალა მიემატება ამ საზოგადო საქმის საწარმოებლათ.

**სატყეო განყოფილება ქართ. უნივერსიტეტთან**

პროფ. ქურდიანის აზრით უნივერსიტეტთან დაარსებულ უნდა იქმნას სატყეო განყოფილება.

**შტატის გადიდება.**

განზრახულია თვით ტყის გამგებელთა შტატის გადიდება. დღემდის სულ 37 გამგე ირიცხებოდა. დღეიდან კი ტყის გამგეთა რიცხვი 80-მდეა განზრახული, ესე იგი 43 გამგით მეტი. ტყის მცველთა პერსონალის მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც მიღებულია ზომები. ცხენოსან მცველებს 1800 მან. ნაცვლად უნდა დაენიშნოთ 2300 მანეთი, ხოლო ქვეითა მცველთ ნაცვლათ 900 მანეთისა 1800 მანეთამდე ემატება.

**მიმღებ კომისიების გაუქმება.**

დღემდის მთელი ტყეების გამგებლობა ეგრედ წოდებულ „პრიომნი კომისიების" ხელში იყო. სატყეო ნაწილის მიერ ამიერიდან ეს კომისიები უქმდებიან და მთელ ტყეების ექსპლოატაციის საქმე ტყეთა გამგეთა ხელში გადადის.

# სამხედრო საქმე.

**ამონაწერნი სახელმწიფო კონტროლიორის მოწერილობითგან 1918 წ. 9 ენკენისთვის თარიღით, № 492, სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების მიმართ.**

**2. სამხედრო წისქვილები.**

ამ ჟამად საინტენდანტოს აქვს ორი წისქვილი, ორივე ტფილისში. განმარტებითს წერილში ნაჩვენებია, რომ მათი მწარმოებლობა დიდად აღემატება მშვიდობიანის დროის შემადგენლობის არმიის მოთხოვნილებას, რისთვისაც ერთი მათგანი უნდა უქმად იყვეს, ხოლო მეორე თავის მწარმოებლობის, ერთის მესამედისთვის მუშაობდეს. საქმის ამისთანა მდგომარეობაში წისქვილების დატოვება საინტენდანტოს განკარგულებაში ყოველ თვიურად 25,290 მანეთის ხარჯით, რომელიც აუცილებელი იქნება, დამოუკიდებლად იმისგან-ექნება თუ არა საინტენდანტოს საფქვავი, უნდა ვცნოთ აშკარათ საზარალოდ ხაზინისათვის. ამიტომ სახელმწიფო კონტროლი ჰპოვებს, რომ რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს საინტენდანტომ ხელი აიღოს წისქვილების სამეურნეო წესით ექსპლოატაციაზე და დაუყოვნებლად გაიცეს ისინი იჯარით საჯარო ვაჭრობით, ისე კი, რომ ხაზინას შერჩეს უფლება თავის მარცვლეულობის დაფქვისა რიგს გარეშე. თავის მარცვლეულობის დასაფქველის გადახდას ხაზინა იკისრებდა იმდენს, რამდენიც დაწესებული იქნებოდა წისქვილის მოიჯარადრე ებთან დადებულის ხელშეკრულობით კერძო პირთათვის. თუმცა საქმის ერთად ერთი სწორი გადაწყვეტა იქნებოდა წისქვილების იჯარით გაცემა, რაიცა შტატების დაწესებას საჭიროდ აღარ გახდიდა, სახელმწიფო კონტროლი მაინც მოვალეობად სთვლის განძრახულის შტატების თქვას, რომ ისინი გადამეტებულია და წისქვილის მწარმოებლობისთვის შეუსაბამო: საქმის მწარმოებლის თანამდებობა, ეჭვი არ არის, ზედმეტია, რადგან მარცვლეულობის და ფქვილის ანგარიშის გასაწევად მცირე მუშაობა ადვილად შეუძლიან აწარმოვოს თვით წისქვილის გამგემ გადამწერის დახმარებით; წინააღმდეგ შემთხვევაში გამგის საქმიანობა წარმოადგენდა მხოლოდ გარეგანს მეთვალყურეობას, რისთვისაც უიმისოდაც არიან საკმარისად უმცროსი მოსამსახურეები; შემდეგ, შტატებში აღნიშნულის 3 მაშინისტის თანაშემწის, 6 მეწისქვილის თანაშემწის, 3 უმცროსის ყურისმგდებელის და 25 მწყობრგარეშეთის ჯარის კაცის მაგიერ სრულებით საკმარისი იქნება, 2 მაშინისტის თანაშემწე, 3 მეწისქვილის თანაშემწე, 2 უმცროსი ყურისმგდებელი და 20 მწყობრგარეშეთი. კონტროლი ვალად იღებს აღნიშნოს, რომ ეს შემოკლება დაფუძნებულია გამოცდილებაზე.

დარჩა დასამატებელი, რომ მეჯინიბე და 2 სასაწიკაო ცხენი სრულებით უნდა გამოირიცხონ, რადგან ჯერ ერთი საინტენდანტოს ჰყავს გადაზიდ-გადმოზიდვის მოიჯარადრე, რომელსაც მოაქვს ყველაფერი წისქვილისთვის და მეორეც წისქვილი იმყოფება თვით სასაკვებო მაღაზიასთან, საიდანაც ღებულობს ყველა საჭირო პროდუქტებს, რაიცა სრულებით უარჰყოფს ცხენების საჭიროებას.

ამნაირად, კონტროლის აზრით, არავითარი შტატები არ არის საჭირო წისქვილებისთვის, ისინი უნდა გაიცნენ იჯარით საჯარო ვაჭრობით; ერთის წისქვილისთვის განზრახული შტატი ყოველს შემთხვევაში, ნამეტნავია და უნდა იგი შემოკლდეს კონტროლის მიერ ნაჩვენებ ზომამდე, რაიცა ხაზინას დაუზოგავს 24,600 მან. წელიწადში.

**3. მიმღები კომისია.**

კომისიის საქმე გამოიხატება ძველის ნივთების გადარჩევაში და ახლების მიღებაში, მაშასადამე თავის არსებითის თვისებით მიმღების კომისიის მუშაობა უნდა დრო-გამოშვებითი იყოს. ამ პირობაში დიდ რიცხოვანის სამუდამო ცალკე კომისიის შექმნა, წლიურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

51000 მანეთის ხარჯით, ჩვენი რესპუბლიკის მცირე საშუალება თუ მივიღეთ სახეში, უნდა ცნობილ იქმნას ზედმეტად. უფრო მიზნის შესაფერი იქნება, სარგებლობაც რომ არ იყვეს, ცალკე კომისია კი არ იქნას დაწესებული, არამედ მოეწყოს იგი თვით სანივთო საწყობთან. სამუდამო უნდა იყვნენ თანამდებობანი კომისიის თავმჯდომარისა და საქმისმწარმოებლისა თვიური სარჩენით, პირველისთვის 800 მან., მეორისთვის 500 მ.

შემდეგ კომისიაში შევლენ ჯარებისა და კონტროლის წარმომადგენლები, სამხედრო მინისტრის და სახელმწიფო კონტროლიორის მიერ დანიშნულები. მიმღები კომისიის ასეთი გამარტივებული აგებულობა, სავსებით შეფერებული მის დანიშნულებასა და სამუშაოს რაოდენობასთან, ხაზინას დაუზოგავს 21,900 მან., რაიცა ჩვენი რესპუბლიკისათვის შესამჩნევს დაზოგვილობად ჩაითვლება.

### 4. სასაკვებო მაღაზიები

შტატებში აღნიშნულის ხარისხოსანთა შემადგენლობის წინააღმდეგ სათქმელი არაფერია. რაიცა შეეხება სარჩენს, იგი უნდა ვცნათ, ნამეტნავად სხვა უწყებებში მოსამსახურეთა დაჯილდოებასთან შეუფარდებლად. სახელმწიფოს კონტროლი საკმარისად სთვლის დაწესდეს: ძირადის მაღაზიის ზედამხედველისთვის 800 მან. თვეში, მის თანაშემწისთვის 550 მან. შუადის და სახარჯო მაღაზიების ზედამხედველებისათვის ხუთას-ხუთასი მანეთი და საქმის მწარმოებლებს ყველგან თითოეულს 550 მან.

ასეთი სარჩენები, სხვა უწყებებში თანაბარის თანამდებობის დაჯილდოებასთან სავსებით შეფარდებულნი, 1 ძირადს, 2 შუადს და 8 სახარჯო მაღაზიაში, დაუზოგავს კრიზისში მყოფს ხაზინას 12,900 მანეთს წელიწადში.

### 5 სანივთო საწყობი.

სანივთო საწყობის მოსამსახურეთა შტატი განძრახულია, თქმა არ უნდა, ფართოდ, შეფერებულად საწყობის საქმიანობასა და სამუშაოს რაოდენობასთან. ხელმძღვანელობისა და საერთო ყურისმგდებლობისათვის სრულებით საკმარისია საწყობის უფროსი და მისი თანაშემწე, რომელიც არის კომანდის უფროსიც, მაღაზიების ზედამხედველებთან ერთად; ამიტომ თანამდებობანი კომანდის უფროსისა, მის თანაშემწისა და ორის უმცროსის ოფიცრისა სრულებით ზედმეტია, რადგან საწყობში არავითარი საოფიცრო მუშაობა არ არის და უნდა იქნენ გამორიცხულნი.

საანგარიშო და საბუხჰალტერო სამუშაოსთვის განძრახულია 6 თანამდებობა. ამისთანა. ერთგვარის, ფრიად მარტივის სამუშაოსთვის, რომელიც არ თხოულობს არავითარს განსაკუთრებულს ცოდნას, სრულებით საკმარისია. ერთი ბუხჰალტერი, 2 საქმის მწარმოებელი და 1 მათი თანაშემწე. ამნაირად, კონტროლის აზრით, უნდა გამორიცხულ იქმნან თანამდებობანი 2 ბუხჰალტერის თანაშემწისა. საზოგადოდ თანამდებობათა გამორიცხვა, კონტროლის აზრის თანახმად, საქმისთვის ზიანის მიუყენებლად, მისცემდა 39,900 მანეთის დაზოგვილობას წელიწადში.

სხვა ხარისხოსნების სარჩენები, რომლებიც სრულებით არ შეეფერებიან უბრალო დაწესებულებას წინა მუხლში მოყვანილის საბუთებით, უნდა დაწესდეს: საწყობის უფროსისათვის 900 მან., მის თანაშემწისთვის 700 მ., საქმისმწარმოებლისა და ბუხჰალტერისთვის ექვსას-ექვსასი მანეთი და საქმისმწარმოებლის თანაშემწისთვის 500 მან. ამ ნაირად ხარჯი შემოკლდებოდა 10,000 მანეთით წელიწადში.

## საქართველოს პარლამენტში
(22 ნოემბრის სხდომა)

კრება იხსნება დღის $12^1/_2$ საათზე. თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი. მდივანი დ. ონიაშვილი კითხულობს დღიურ წესრიგს. შემოსული კანონ-პროექტები გადაცემულ იქმნენ სათანადო კომისიებში და პარლამენტი შეუდგა დღიური წესრიგის განხილვას.

პირველ რიგში ირჩევა საკითხი დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების საბოლოო ტექსტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე (ს. დ.) განუმარტავს პარლამენტს დებულების მუხლებს იმ შესწორებებით და დამატებებით, რომელიც შეტანილ იქმნა საარჩევნო დებულებაში პარლამენტის მიერ. დებულების საბოლოო ტექსტი დამტკიცებულ იქნა. პარლამენტმა მიიღო მომხსენებლის წინადადება, რომ ამავე სხდომაზე არჩეულ იქნენ დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წევრები.

სხდომა სწყდება რამოდენიმე წუთით. სხდომის განახლების შემდეგ ს.-დ. ფრაქციის სახელით ლ. ნ ა თ ა ძ ე აცხადებს ცენტრალურ კომისიის კანდიდატების განაწილების შემდეგ ნუსხას:—სოც. დემოკრატიულ ფრაქციას კომისიაში ეყოლება 7 წევრი, სოც.-რევ.—2, ს.-ფ.—2; ნ.-დ.—2 დ დანარჩენ ფრაქციებს თითო. ორატორის განცხადებით განაწილება კანდიდატებისა ხდება ფრაქციათა შემადგენლობის მიხედვით: ათ წევრიან ფრაქციას 2-ზე ნაკლები კანდიდატი არ უნდა ყავდეს კომისიაში.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (დამ. ნ. დ.) აცხადებს, რომ მიუღებელია ს. დ. ფრაქციის წინადადება კანდიტატთა განაწილების შესახებ, თუნდა იმიტომაც, რომ დამოუკიდებელ ნ.-დ. ფრაქციას აძლევენ მხოლოდ ერთ წარმომადგენელს, ესესრებს კი ორსო. მოითხოვს დამ. ნ.-დ. ფრაქციას მიეცეს 2-წარმომადგენელი საარჩევნო კომისიაში.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე (ს. დ.) არ იზიარებს ბ. გაბაშვილის მოსაზრებას და ამბობს, რომ ნ.-დ. ფრაქცია, რომელსაც აქ სრულიათ შემთხვევით აქვს ადგილი ყოველთვის დიდ პრეტენზიებს აყენებს და ყოველთვის ამტყუნებს ს.-დ. ფრაქციას, და ბრალს სდებენ ათას გვარ ცოდვასა და უკანონობაში. ორატორს უკვირს რას ედავება ბ. გაბაშვილი ესერებს, როცა თვითონ, ნაც.-დემ. არავითარი ნიადაგი არა აქვთ და მათი ამომრჩეველნი არ სჩანან, ესერებს კი ცოტა თუ ბევრი მაინც ყავს ნაც.-დემოკრატებზე მეტი მიმდევრები. არსენიძეს შეუძლებლათ მიაჩნია ცენტრალურ კომისიის წევრთა ნუსხის სხვანაირათ შეცვლა დ ადასტურებს სოც. დემ, ფრაქციის მიერ წამოყენებულ კანდიტატთა განაწილებას.

ი ვ. გობეჩია (ს. რ.) ეკამათება ბ. გაბაშვილს და ამბობს, რომ დღეს დღეობით სოც.-რევ. ნ. დ-ებზე მეტი არიან, მაგრამ კიდევაც რომ ცოტანი იყვენ, ეს მას არ აშინებს, რადგანაც ნ.-დემოკრატები, როგორც ზედმეტი ელემენტები საქართველოს ცხოვრებაში საბოლოოთ გაქრებიან თავიანთ ამომრჩევლებით.

ა კ ა კ ი ფ ა ლ ა ვ ა სოც.-ფედერალისტების სახელით ემხრობა ს. დ. ფრაქციის წინადადებას კანდიდატთა რიცხვის განაწილების შესახებ. გამოქვეყნებულ იქმნა ფრაქციათა კანდიდატების სია (21), რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა.

პარლამენტმა დაამტკიცა, მომხსენებელი რ. არსენიძის მიერ წარმოდგენილი პროექტი სამთო სამმართველოს შტატების შესახებ.

გრძელდება კამათი სკოლებში სამღვთო სჯულის სწავლების მოსპობის შესახებ.

ლ. ნ ა თ ა ძ ე (მომხსენებელი ს. დ.) ვრცელ სიტყვაში ასაბუთებს თავის მოსაზრებას სამღვთო სჯულის სწავლების მოსპობის საჭიროების შესახებ. მოჰყავს მაგალითები განათლებული ქვეყნების სკოლების ცხოვრებიდან და ამბობს, რომ მის მიერ წამოყენებული დებულების დარღვევა პედაგოგიური თვალსაზრისით ყოვლათ შეუძლებელია. აქ არის პედაგოგიური და არა პოლიტიკური საკთხი და სწორეთ ამ მხრივ არის საჭირო, რომ გაარჩიონ ის მოწინააღმდეგე ორატორებმა.

მოხსენების შემდეგ პარლამენტი მუხლობრივ არჩევს კანონ-პროექტს. ამათში მონაწილეობენ არსენიძე, ივანიცკი, გაბაშვილი, ჭარუმიძე, აბაშიძე და სხვანი.

კანონ-პროექტი კომისიის მიერ წარმოდგენილი რედაქციით მიღებულ იქმნა ხმის უმეტესობით და გადაეცა რედაქციის კომისიას.

სხდომა დაიხურა საღამოს 5 ს.

## გერმანული პრესის ცნობა.
(საქ. დეპ. სააგ.)

### ინგლისელი ტყვეების დაბრუნება.

ბერლინში ჩამოვიდა ინგლისის წითელი ჯვრის თავმჯდომარე არნოლდ აბრამსონი და არტურ მეტი. მათ დავალებული აქვთ ჩრდილ ეთ გერმანიიდან ინგლისელ სამხედრო ტყვეთა სამშობლოში დაბრუნება. მეინმა განაცხადა, რომ როგორც საგარეო საქმეთა, აგრეთვე სამხედრო მინისტრის მიერ ყოველივე ზომა მიღებულია ტყვეების გადაყვანის გასაადვილებლათ.

### 1916 წელს საზავო წინადადება.

ხმები, ვითომ 1916 წ. შემდგომაზე, გერმანიის მთავრობამ უარყო საფრანგეთის საზავო წინადადება არ შეეფერება სინამდვილეს. არავითარი საზავო წინადადება არც ერთ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს არ წარუდგენია გერმანიისთვის ამ ომის დროს.

### ზავის პირობების შემსუბუქების შესახებ უარის თქმა.

როებითი ზავის კომისია უარყოფს დროებითი ზავის პირობათა შემსუბუქების შესახებ გავრცელებულ ხმებს. პირიქით, მიუხედავათ იმისა, რომ გამოირკვა, მძიმე პირობათა პრაქტიკულათ შესრულების შეუძლებლობა, მოწინააღმდეგემ უარი განაცხ და ამ საკითხის განხილვაზე.

### საწარმოვოს ნაციონალიზაცია.

სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა კომისიას წარუდგინოს ცნობები მსხვილ საწარმოვო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესაძლებლობის შესახებ. კომისია რაც შეიძლება მოკლე ხანში წარმოადგენს ცნობებს. კომისიაში შედიან: პროფესორები ბალოდი, ფრანკე, ვალტერ როტეგამი, კარლ კაუცკი და სხვანი.

### პრესის განყ. ჩაბარება.

სახალხო კომისარმა ლანსბერგმა პრესის განყოფილება სახალხო კომისარს შეიდემანს ჩააბარა და მიიღო ფინანსების სამინისტრო, რომელიც ამდენ ხანს შეიდემანს ებარა.

### გერმანიის ელჩების დაპატიმრება

21 ნოემ. ცნობების თანახმად, რომლის ნაწილი მიღებულია პეტერბურგიდან და მოსკოვიდან და ნაწილი სხვა წყაროებიდან გერმანიის გენერალური საელჩოები თავის შტაბით პეტერბურგსა და მოსკოვში უფლება აყრილი და დაპატიმრებულია. რუსეთის რწმუნებული კონოვალოვი 12 ნოემ. იუწყება, რომ ისინი რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაშია. ამ დღიდან პირდაპირი დამოკიდებულება პეტერბურგთან აღარ არსებობს. მოსკოვიდან 11 ნოემ. გამოგზავნილი დეპეშა იუწყება: „გუშინ ჩვენ ალყა შემოგვარტყა ყაჩაღთა ბრბომ.“ ავსტრიის გენერალური ელჩი, რომელიც ჰელსინფორსიდან ჩავიდა მოსკოვში, იუწყება, რომ გერმანიის ორივე გენერალურ საელჩოს ალყა შემოარტყეს საბჭოთა მთავრობის ინიციატივით. საელჩოს თანამშრომელნი დაპატიმრებულია. გერმანიის სახალხო მთავრობის ორ პროტესტზე რუსეთის მთავრობამ უპასუხა, რომ ის წინააღმდეგია გოგენცოლერნთა წარმომადგენელნი იცნონ თავისუფალ გერმანიის წარმომადგენლებათ. გერმანიის მთავრობამ მოსთხოვა რუსეთის მთავრობას, რომ ორივე გენერალური საელჩო, რომელსაც რამოდენიმე ხნის წინათ უნდა დაეტოვებია რუსეთი, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ დააპატიმრა, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს და დააბრუნოს გერმანიაში.

## ცნობები მოსკოვიდა
(საქ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი, 22 ნოემ. ც. აღმ. კომ. ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი. გერმანია. სტოკჰოლმი, 22 ნოემ. სპარტაკის ჯგუფმა შემდეგი პროგრამა შეიმუშავა: საბჭოების ხელახალი არჩევა, მათი მოწყობა რუსეთის საბჭოების სახით. პოლიტიკური ძალა-უფლების მცირე აღმასრულებელ კომიტეტის ხელიდან ჯარისკაცთა და პროლეტართა საბჭოზე გადაცემა. დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას მუშათა და ჯარისკაცთა რეის-პარლამენტი, გლეხთა პროლეტარიატის დაუყონებლივ ორგანიზაციულად შეკავშირება, პროლეტარულ წითელ გვარდიის შექმნა, კერძო განსაკუთრებით მსხვილ ქონებათა დაუყონებლივი კონფისკაცია და გერმანიის მუშათა კონგრესის მოწვევა, რათა სოციალისტურ ხასიათის რევოლუციას საიმედო დახმარება გაუწიოს მსოფლიო პროლეტარიატმა. ჰამბურგში მრავალ რიცხოვან მიტინგზე, რომელზედაც მეზღვაურებმა მიიღეს მონაწილეობა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღეს. ყველა ორატორი კიცხავდა მთავრობას იმის გამო, რომ ის ცდილობს რევოლუციას რუსეთის რევოლუციის ხასიათი მისცეს. გადასწყვიტეს შესდგეს მეზღვაურთა საბჭო, რომელსაც შეუერთდება მემარცხენე სოციალისტური ჯგუფები. განზეის საბჭომ ვილჰელმს ჰაფენში შემდგარ მეზღვაურთა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები მთავრობას გაუგზავნა.

### ზავის პირობების შემსუბუქებაზე.

ჰამბურგში წითელ დროშის რედაქტორმა ვილჰელმ დიუვემ და პაულ ფრელიხმა 60000 ჯარისკაცი შეაიარაღეს და დროშის ქვეშ დააყენეს. გერმანიის მთავრობა ისევ შუამდგომლობს დროებითი ზავის პირობათა შემსუბუქებაზე. განსაკუთრებით მოითხოვს შეუნარჩუნოს მას ეკონომიური დამოკიდებულების უფლება რეინის დასავლეთ მხარესთან.

### შიმშილობა

კ უ რ ს კ ი. 22 ნოემბ. რუმინიაში შიმშილობაა. ბესარაბიიდან, სურსათი რაც შესაძლებელი იყო, გამოიზიდა და ეხლა იქაც შიმშილობაა, კიშინიოვში და ბეიდერახში გახშირდა შიმშილისაგან სიკვდილი.

### სალამი გერმანიის რესპუბლიკას.

21 ნ ო ე მ ბ ე რ ს საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიც სალამს უძღვნის გერმანიის რესპუბლიკას. მოწოდებაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოს მუშებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: შეებრძოლოს ყოველგვარ შოვინიზმს და არავის მისცეს ნება, ვითომ და წესიერების აღსადგენათ, შეებრძოლოს რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის ხალხს და მათ ახალ მთავრობათ.

### ტერიტორიის განთავისუფლება.

ლ ი ო ნ ი. 21 ნოემ. დღეს, ელზასის და ლორენის განთავისუფლებულ ტერიტორიის დაჭერა დიდი ენტუზმიაზმით ხდებოდა. გენერალ კასტელნოს ცოლმარში შესვლას მცხოვრებნი დიდი სიხარულით შეხვდენ. მოზელიდან ვოგეზამდე ხაზი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, შეიცავს ტიონველს, უზონვილს, ფოლკლენჟენს, სარე-გემინს და ბიტშეს.

კლემანსო და ფოში, ინგლისის უმაღლეს სარდლობასთან ერთად, ამ დღეებში ჩავლენ პარიზში.

პუანკარემ მოინახულა დღეს მეუზის განთავისუფლებული ოლქები. ამ ჟამათ ჩვენ გვიჭირავს ხაზი ნეუშატო, სენლავოლდი, ფორბახა, სარა-ებრუკი, ობერმე (სტრას ურგის სამხრეთ დასავლეთით) ახალი ბრიზაში და სენ-ლუი..

ლიუკსენბურგი ამერიკის ჯარს უჭირავს.

### რუსეთის განადგურების სურვილი.

ბ ე რ ნ ი. „უმანიტე“-ში კაშენი სწერს, რომ მოკავშირენი ფიქრობენ რევოლიუციონურ რუსეთის განადგურებას. სოციალისტურ პარტიათა მოვალეობაა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიონ ამას.

### ვენის პარლამენტში.

22 ნოემბერს რუმინიელთა შეტევა ჰუნგრეთში და მისი ოლქების ოკუპაცია გრძელდება. ვენის პარლამენტში კომუნისტ ორატორის სიტყვის დროს სახალხო წითელი გვარდია შეეცადა ძალით შესულიყო პარლამენტში.

სტოკჰოლმი, 22 ნოემბერი. ავსტრია. ვენის პარლმენტში. კომუნისტ ორატორის სიტყვის დროს ხალხი და სახალხო წითელი გვარდია შეეცადა პარლამენტში ძალით შესვლას. პარლამენტიდან სროლა გაისმა. წითელ გვარდიელებმა ტყვია დაუშინეს პარლამენტს. გამოუძახეს ჯარს.

### იაპონიის ჯარი.

იაპონიის ჯარის შტაბი იუწყება, რომ იაპონიის ჯარმა ამ ჟამად წინსვლა შესწყვიტა და საზამთროთ დასაბანაკებელი ადგილები უკვე აირჩია. იაპონიის ჯარმა რკინის გზის ლიანდაგი ხარაბოვსკიდან ზაბაიკალამდე და უსურიის ხაზი დაიპყრო. ჯარის ნაწილი სდგას ჩიტაში, ვერხნე უდინსკში და ნერჩინსკში. ვლადივასტოკში შესდგება ჩეხელ მოღვაწეთა თათბირი, რომელზედაც უნდა გადასწყდეს ჩეხო-სლოვაკების ბრძოლის მიმართულება მომავალში.

## ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოების საყურადღებოდ

დუშეთის მაზრაში მოგვიხდა მოგზაურობა. ვნახე დიდი ილიას გურამიანთ-კარი (საგურამო), მისი სახლ-კარი; მწუხარებით გავიარე სოფ. წიწამური, სადაც ბინძური ხელი შეეხო ილიას მადლიან შუბლს... წაურეცხელი ჩირქი მოსცხო ერს... მაგრამ გული უფრო ამევსო ბოღმით, როცა თავის ადგილას ველარ ვიხილე ის შავი, სიმვოლიური ჯვარი, რომელიც გზის პირას იყო ამართული; ამ ჯვარის წინ სტუმარი, გამვლელ-გამომვლელი მუხლს იყრიდნენ, გლეხები მოწიწებით ქუდს იხდიდნენ დ იგონებდნენ დიდ ილიას, წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ მკვლელს... ის შუაზე გადატეხილი იქვე ახლოს ეგდო თხრილში... ეს ხომ უპატივცემლობაა, უყურადღებობა დიდი ადამიანისადმი სხვა რომ არა იყოს რა თითონ ილიას დარჩა იმდენი ქონება, რომ ის, რაც დაკავშირებულია მის ხსენებასთან დაცულ დ განმტკიცებულ უნდა იქნას. რას ფიქრობს წერა-კითხვის საზოგადოება, რატომ არ შეეცადა დაცულ იქნას ის ადგილი, სადაც დიდი ილია გამოსალმეს წუთისოფელს. შეძლება, საშუალება? აქვს წერა-კითხვის საზოგადოებას: თითონ ილიას მამულიდან წლიური შემოსავალი გააკეთებდა ამ საქმეს, უყურადღებობის ბრალია.

ეს კიდევ არაფერი, ეხლა შევიდეთ იმ სკოლაში (საგურამოში), რომელიც ილიას სახელობაზეა დაარსებული: სკოლა მოთავსებულია ქუჩის პირად სახლში კი არა ფარეხში: სულ პატარა ოთახი, ერთი მინებიან ჩამტვრეული სარკმლით, მიწური იატაკი, სრულიად მოუწყობელი; იქვე გვერდით, მეორე „ოთახში“ მოთავსებულია საბატე თუ საღორე, რომელიც სავსეა ყოველგვარ უსუფთაობით. ეს სკოლა კი არა პირდაპირ დაცინვაა სწავლა-აღზრდის საქმისა და უპატივცემლობა იმ დიდი ადამიანისა, რომლის სახელობაზედაც ეს ვითომდა სკოლაა დაარსებული. ასეთი „სკოლა“ ნურამც ყოფილა. რა ჰქნას საწყალმა მასწავლებელმა, როგორ იმუშაოს ასეთ პირობებში: ქარსა და სიცივეს გაუძლოს, წვიმას, თუ იმ აუტანელ ანტი ჰიგიენურ პირობებს, რომელშიაც სკოლა იმყოფება?! „რა ვქნა, მივწერე საზოგადოებას, განგებ გავგზავნე კაციც, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიმიღიაო“ შემომჩივლა საწყალმა ქალმა, მასწავლებელმა. კომენტარიები ზედმეტად მიგვაჩნია...

გ.

# ჯარში კულტურული მუშაობა.

ჯარი უნდა შევქმნათ, ჯარი, რომელიც შესძლებს ჩვენი თავისუფლების და დამოუკიდებლობის შეგნებულათ დაცვას. ამისთვის კი აუცილებელია ჯარში შეგნების და განათლების შეტანა. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ამისათვის ყურადღება მიუქცევია სამხედრო სამინისტროს, მაგრამ ეს არ კმარა. მთელმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა.

ქუთაისში ამ მხრივ უკვე დაიწყო ენერგიული მუშაობა. ადგილობრივ ჯარის უფროსის და სამხედრო ინსტრუქტორის პოლ. ართმელაძის ინიციატივით ქუთაისის საზოგადოებამ დაარსა წრე, რომელმაც აირჩია გამგეობა. გამგეობასთან დაარსდა სექციები: ლექტორთა, ფინანსიური, საშკოლო, პრესის და სხვა. ქუთაისის ურობის შენობაში ამ მხრივ გამუდმებული მუშაობა სწარმოებს. განზრახულია დაარსონ ჯარის კაცთათვის შკოლა, კლუბი, უნივერსიტეტი. ჟურნალისტებმა დაადგინეს გამოსცენ ერთი ნომერი გაზეთისა, რომელშიც ყველა მიმართულების მწერლები მიიღებენ მონაწილეობას. გამგეობა ფიქრობს ჯარისთვის უნივერსიტეტის გახსნის დღეს გამართოს ზეიმი და სხვა.

უყურებ ამ მუშაობას და რწმუნდები, რომ ამ საქმეში ადგილი არა აქვს ჩვეულებრივ ჩვენს „მხოლოდ სიტყვიანობას“ და დარწმუნებული რჩები, რომ განზრახვები სისრულეში იქნება აუცილებლათ მოყვანილი.

ამ საქმეში მონაწილეთ უნდა ვუსურვოთ ენერგია და ამასთანავე არ შეგვიძლია არ მიუთითოთ ყველა ქალაქებისა და დაბების მოწინავე მოქალაქეთ, რომ მათაც მიაქციონ ჯარის მდგომარეობას უდიდესი ყურადღება და ეხლავე შეუდგნენ ჯარში კულტურულ მუშაობის მოწესრიგებას „სოც.-დემ.“.

# ქრონიკა

○ დღეს, დილის 11 საათზე ქართული კლუბის შენობაში დანიშნულია ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა საგანგებო კრება.

○ ავადმყოფ მსახიობ ვალ. შალიკაშვილის სასარგებლოთ ქუთ. დრ. საზ. გამგეობამ გაიღო 250 მან.

○ ხვალ 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) შალამბერიძისა — „ქიმია“, 2) ირემაშვილსა — „საქართვ. ეკონომ. მდგომარეობა“.

○ რედაქციამ მიიღო გიორგი მამრაძის შედგენილი წიგნი „საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება წიგნი სუფთათაა გამოცემული, ღირს 3 მ. 50 კაპ.

○ დღეს, 24 ნოემბერს სახალხო სახლის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „გამცემი“ დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ფასები სახალხოა.

○ ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩა, 11, შესდგება ქართულ სატეხნიკო საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. პ. მამრაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „კანონი სამელიორაციო ამხანაგობებზე“.

○ დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“. დღეს კლუბთან არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრე მართავს მორიგ წარმოდგენას ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით. წარმოადგენენ ა. ცაგარლის სამ მოქ. კომედიას „რაც გინახავს ველარ ნახავ“.

## განცხადებები

საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ თამბაქოს გასატანი მოწმობები №№ 7851 და 7852 ოთხას სამოცდა ცამეტი ფუთის და რვა გირვანქა თამბაქოსი ძმათა სეილანოვის თამბაქოს ქარხნისა გამოცხადებულია დაკარგულად და ამისათვის დღეიდან აღნიშნული მოწმობები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
972 3—3.

მარიამ ჩხაიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თავის ქმრის კასიანე ჩხაიძის პასპორტი, მიღებული შუხუთის საზოგადოების კანცელარიიდან 1918 წ. და შაქრის ბარათი, მიღებული მე-9 უბნის კომისარიატიდან.
№ 1068 3—3

დავკარგე ბაქოდან გამომგზავრების დროს მოწმობა ნოსირის ორკლასიანი სკოლის დამთავრებისა № 42, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1066 3—1

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი 50-მანეთისა № 79003, დიმიტრი ლავაროვის სახელზე. 107 1—1.

სენაკის მაზრის კომისარიატი აცხადებს, რომ ერმინე გუნიამ დაჰკარგა მოწმობა, მიცემული სენაკის მაზრის სამხედრო უფროსის მიერ. მნახველი ვალდებულია ხსენებული მოწმობა გამოგზავნოს კომისარიატში. 995 3—2.

გიორგი ივანეს-ძე სარქისოვი აცხადებს, რომ დროებითი მოწმობა, მიღებული ტფილისის ვაჭართა ბანკიდან № 626, 14 ნოემბერს სხვა ნივთებთან ერთად წაიღეს მძარცველებმა, რის გამოც გაუქმებულად ითვლება. 1056-3-1.

იოსებ ქუჩულას ძე მაქაცარიამ დავკარგე უვადო ბაშფორთი მოცემული 1909 წელს № 257. 1078 3—1

ტფილისის ვაჭართა ბანკი ამითაცხადებს, რომ დასახელებულ ბანკის ბილეთი № 598, 1917 წ. სექტემბ. 18 მიღებული, 4885 მან. ბალდასარ ჰაირაპეტის ძე მანუკიანცის სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. ბილეთის მპოვნელს სთხოვენ წარმოადგინოს ის ბანკში.
1038 3—1

## აუქციონი
### ტფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, ნოემბრის 24, ჴდილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვადაგასულ გირაოებისა, რომლებიც შეიცავს ძვირფას ლითონებს და ქვებს, ლითონის საგნებს, საკერავ მანქანებს, ხალიჩებს, ტყავეულობას, ტანისამოსს და საერთოდ ყოველგვარ უძრავ ქონებას.

**№№ ძვირფას გირაოებისა**

80054, 80794, 87434, 89041, 98069, 91438, 91823, 98461, 98462, 98463, 98464, 88523, 98535, 98581, 98689, 98765, 98771, 98786, 98793, 98863, 98889, 98927, 98993, 99020, 105898.

**№№ ლითონის და სხვ. გირაოებისა**

9669, 9670, 11456, 13825, 14361, 14363, 14490, 14543, 14545, 14591, 14649, 14696, 14697. 1077 1—1

25 ნოემბერს, დილის 11 საათზე, საარტილერიო საწყობში აუქციონით გაიყიდება 3 ხარი. 1—1—1074

ქალაქ ფოთის განყოფილების მომრიგებელ სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 18 თებერვალს 1919 წელსა დილის 10 საათზე მომრიგებელ განყოფილების შენობაში დანიშნულია გაყიდვა ცხრა ნაკვეთი ადგილისა, ზომით თვითეული 200 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული თვითეული ნაკვეთი 200 მან. მდებარე დიდ კუნძულზე ქ. ფოთში. გასასყიდი ქონება ეკუთვნის ვახტანგი ბ-ჰიას ძე კოპლატაძეს, რომელიც ვალის გარდახდის შეუძლებლად გამოცხადებულია. 1025 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 25 მის მიერ დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ევდოკია ზოსიმეს ასულმა სერგაჩევამ და აკულინა სტეფანეს ასულმა ბუკიამ 40000 მან. მიჰყიდეს ხაფის ახმეტის ძე აბიძმას უძრავი მამული ქ. სოხუმში, კონდუკტორის ქ. № 8., რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს, ზომით 212,5 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1600 მან. სალერბო 200 მან. 912 1—1.

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით 1918 წ. ოქტომბრის 24 იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნად დასახული, შეტანილია კულტურულ განმანათლებელი საზოგადოება „კოანაშაგარ“. 956 1—1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, 1918 წ. ოქტომბრის 3 იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვს მიზნად დასახული, № 32 შეტანილია კლუბი „უნიონი“ ქ. ტფილისში. 641 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. აგვისტოს 1-ლ. დადგენილებით, დაამტკიცა შინაური ანდერძი ზედგინიძისა. 1019 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 16 მის მიერ დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ათანას ივანეს ძე წერემ 10,000 მან. მიჰყიდა ამაიაკ გეორქის ძე კოჰკანიანს მიწის ნაჭერი ქ. გუდაუთში მე-19 უბ. ზომით 280 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მან. სალერბო 50 მან. 989 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 10 მის მიერ დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონსტანტინე მაქსიმეს ძე ბალავაძემ 3800 მან. მიჰყიდა სტეფანე კაციას ძე პეტრიაშვილს მიწის ნაჭრის ნაწილი ქ. გუდაუთში № 1, უბ. 3 ზომით $14^{22}/_{100}$ ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 228 მან. სალერბო 28 მ. 50 კ.
988 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტომბრის 2 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ანტონ-გრიგოლ ივანესძე პოტრაჟევსკისა. 630 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 26 დადგენილებით დაამტკიცა ელისაბედ სერგის ასულის დავიდოვას ნოტარიალური ანდერძი. 631 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 18 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ტფილისის მოქალაქის არუტიუნ (არტემ) მინასძე სპარაპეტიანცისა. 1012 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 20 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ანტონინა ანდრიას ასულის კირეევასი. 1011 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 16 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი იტალიის ქვეშევრდომისა ივანე ანდრიას ძე ანდრეოლეტისა.
1010 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტომბრის 10 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი არტემ სოლომონისძე პოპოვისა. 1018 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ნოემბრის 11 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ანდრია პავლეს ძე ვოლკოვის. 1013 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს 26 ოქტ. 1918 წლის დადგენილებით, რეესტრში საზოგადოებათა და კავშირთა, რომელთაც მიზნათ არა აქვთ დასახული გამორჩენა, შეტანილ იქმნა საქართველოს იურიდიული საზოგადოება.
962 1—1

სენაკის მაზრის კომისარიატი აცხადებს, რომ ის ეძებს სოფ. ხორშის, (ზუგდიდის მაზრის) მცხოვრებს აკაკი ნიკოს ძე სახეიშვილს. დაბადებიდან 14 წლისაა, ტანად მორჩილი, შავგრემანი, თვალები და თმა შავი, დაბალ ცხვირიანი. სენაკის მაზრის კომისარი ცხაკაია.
969 1—1.

ვექილობა, რომელიც ჰქონდა მიცემული გარდაცვალებულ ამბროსი ბიჭიას ძე გოცირიძის ქონების და ობლების აპეკუნს სიმონ მიხეილის ძე ამირეჯიბს ბესარიონ ბიჭიას ძე გოცირიძეზე, შედგენილი ყოფილ ქუთაისის ნატარიუსის აბდუშელიშვილის მიერ 4 მაისს 1916 წ. რეესტრის 842 ნომრით, ქალაქ ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის 7 ნოემბრის 1918 წ. დადგენილებით, გაუქმებულია.
965 1—1

იოსებ გიორგის ძე გოჩიაშვილი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიცემული ყოფილ ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდგან, რაც უნდა ჩაითვალოს გაბათილებულათ. 1072 3—1

კავკასიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 7 იქ შეიტანა თხოვნა იაკობ ადამის ძე ვიტკოვსკიმ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, მე-6 უბ., ქალაქთა კავშ. ტყავის ქარხანა, მის ცოლთან, ეკატერინე კუზმას ასულის ვიტკოვსკისთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან 1907 წ. ოქტომბრის 28. მთხოვნელის ი. ა. ვიტკოვსკის განცხადებით ეკატერინე ვიტკოვსკაია არა სჩანს 1911 წ. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ვიტკოვსკაია, ვალდებული არიან განუცხადონ სინოდალურ კონტორას, ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1006 1—1

კავკასიის უწმიდესი და უმართებელესი სინოდის კონტორა აცხადებს, რომ 1918 ნოემბრის 5 იქ შეიტანა თხოვნა ნიკოლოზ მიხეილის ძე ჩერენკოვმა, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, თუმანოვის შესახვევი № 24, მის ცოლთან მარიამ თედორეს ასულ ჩერენკოვთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან ბათუმში, თავარ ანგელოზის ეკლესიაში 1911 წ. ივლისის 2. მთხოვნელის ნ. ჩერენკოვის განცხადებით, მარიამ ჩერენკოვა არა სჩანს 1912 წლიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს მარიამ ჩერენკოვა, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კონტორას, ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1007 1—1

1918 წ. ოქტომბრის 11 ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა, 1916 წ. 23 ნოემბერს შედგენილი შინაური ანდერძი, 1917 წ. თებერვლის 5 გარდაცვალებულის ელისაბედ დიონოსის ასულის კუზნეცოვასი, რომელიც ცხოვრობდა ქ. ქუთაისში. 1001 1-1

1918 წ. აგვისტოს 3 ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა, 1917 წ. აპრილის 28 შედგენილი ნოტარიალური ანდერძი, 1918 წ. მარტის 7 გარდაცვალებულის ვასილ ალექსის ძე გლუშაკოვისა, რომელიც ცხოვრობდა ქ. ქუთაისში. 1000 1—1

ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა იაკობ არონის ძე ფიჩხაძის მიერ მიცემული ისხაკა არონის ძე ფიჩხაძეზე, რომელიც არის დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუსის კოკოჩევის მიერ ამა წლის 9 მარტის რეესტრის 371 ნომრით, 11 ამა ნოემბრის დადგენილებით გაუქმებულია.
997 3—1

ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ვექილობა იაკოფ არონის ძე ფიჩხაძის მიერ მიცემული ელიათე არონის ძე ფიჩხაძეზე, დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუსის კოკოჩევის მიერ ამა წლის 2 მარტის რეესტრის 370 ნომრით, 11 ამა ნოემბრის დადგენილებით გაუქმებულია.
998 3—2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1918 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებით სამხედრო სამართლის წესის მე-951 მუხლის ძალით ეძებენ ქ. ხონის, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებს, ყოფილ ჯარის კაცს 155 საევაკუაციო პუნქტისა კირილე მელაძეს 29 წლისას, რომელსაც ბრალი ედება ლიტრი ბ. 101 და 103 მუხლების XXII წიგნის ს. დ. კ. 1869 წლის მე-4 გამ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება მელაძე, ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლღას ქუჩა № 48.
996 3—2

## ცენტრალური სასურსათო საბჭო
### (ყოფილი სასურსათო სამინისტრო)

მადათოვის ქ. № 3, ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვალი მარილი დაწესებულ ფასებში. მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ფოთში. 952 12—9

## სააქციონერო „კავკასიის დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოება“.
### ძირითადი თანხა 2.000.000 მან.

მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების ძალით და აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით, საზოგადოება იწყებს თავის მოქმედებას ამა წლის ნოემბრის 27. აქციონერთა საზოგადო კრებაზე არჩეული არიან: საბჭოს წევრებად: არ. ნ. მილოვი, მ. ო. არამიანცი, ა. ა. ენფიანჯიანცი, არ. ნ. სეილანოვი, ა. ე. ბაღდასაროვი, ლ. გ. ევანგულოვი, ქ. ა. ხალათოვი, ს. ს. პოლობენკიანცი, მ. ა. ანანოვი, ი. გ. ოგანოვი, ლ. ნ. ფრიდონოვი, გ. მ. ამბარდანოვი, ა. ნ. ბოზარჯიანცი, მ. ი. ბერბეროვი, მ. ა. ბუნიატიანი, ნ. გ. ყალამქაროვი, ვ. დ. ყორღანოვი, ა. ა. მელიკ-აზარიანცი, ს. პ. მანუელიანცი, და ნ. ზ. უმიკოვი. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ა. ნ. მილოვი, თავმჯდომარის ამხანაგად ლ. გ. ევანგულოვი, სარევიზიო კომისიის წევრები: მ. ზ. ალექსანდროვი, ვ. მაგაკოვი, ვ. ა. ბარსეგოვი, ი. ი. ოგანეზოვი, ი. ფ. ტიგრანოვი. გამგეობის თავმჯდომარედ მოწვეულია სტ. ხრ. სულხანოვი, დირექტორად ა. ქ. კელპერერი. გამგეობა დროებით მოთავსებულია სოლოლაკის ქ. № 8.
1041 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.